

სპეციალური ოპერაციების ძალების ისტორია



საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალების ისტორია გასული საუკუნის ბოლოდან იწყება. 1998 წელს კოჯრის სამხედრო ბაზაზე თავდაცვის სამინისტროს არასაომარი სამხედრო ოპერაციების მოსამზადებელი ცენტრი შეიქმნა, რომელსაც ერთი წლის შემდეგ მცირე ინტენსივობის კონფლიქტებში სამხედრო ოპერაციათა მოსამზადებელი ცენტრი ეწოდა. ცენტრის ჩამოყალიბება მიზნად ისახავდა სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის შექმნას, რომელიც შეძლებდა მცირე ინტენსივობის ოპერაციების ჩატარებასა და კრიზისებზე ეფექტურ რეაგირებას. 1999 წლის 22 ნოემბერს აღნიშნული ცენტრის ბაზაზე თურქი ინსტრუქტორების დახმარებით ქვეყნის ისტორიაში პირველად ქართული საჯარისო სპეციალური დანიშნულების ჯგუფის მომზადებისა და აღჭურვის პროგრამა დაიწყო და სპეციალური დანიშნულების პირველი ქართული ჯგუფიც მაშინ ჩამოყალიბდა. გამოცდილი თურქი სამხედრო ინსტრუქტორების მონაწილეობით საქართველოსა და თურქეთში ტარდებოდა კომანდოს, საპარაშუტო და სპეციალური დანიშნულების კურსები, სადაც უაღრესად მკაცრ პირობებში ხდებოდა ქართველი კურსანტების გაწვრთნა. კურსებს მართლაც საუკეთესო ფიზიკური და გონებრივი მონაცემების მქონე ოფიცრები და სერჟანტები ამთავრებდნენ.

სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფმა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ტრანსფორმაცია რამდენჯერმე განიცადა. 2001 წელს ჯერ **სწრაფი რეაგირების ძალები დაერქვა**, შემდეგ **სპეციალური დანიშნულების ძალები**, ხოლო 2002 წლის 2 აგვისტოდან კი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით **სპეციალური დანიშნულების ბრიგადა ეწოდა**. ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა ელიტარული ქვედანაყოფი სიღრმითი დაზვერვის ბატალიონის სახით, რომელსაც შემდეგ ოფიცერთა სპეცდანიშნულების ბატალიონი, მოგვიანებით კი სპეცდანიშნულების ბატალიონი ეწოდა.

2005 წლის 1 იანვრიდან სპეციალური დანიშნულების ბრიგადას დაექვემდებარა სპეციალური დანიშნულების რაზმი (ყოფილი შსს გენერალ-მაიორ გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი).

2006 წლის 1 ივნისიდან სპეციალური დანიშნულების ბრიგადის შემადგენლობაში შეიქმნა საზღვაო სპეციალური დანიშნულების რაზმი და დისლოკაციის ადგილად განესაზღვრა ქ. ფოთი. საზღვაო კომპონენტის შემატებით სპეციალური დანიშნულების ბრიგადამ შეიძინა დამატებითი შესაძლებლობები და

გააფართოვა სპეციალური ოპერაციების განხორციელების არეალი.

2007 წლის ზაფხულში თავდაცვის მინისტრის ბრძანებით **სპეციალური დანიშნულების ბრიგადა** ჩამოყალიბდა **სპეციალური ოპერაციების დაჯგუფებად** და დისლოკაციის ადგილად განესაზღვრა ქ. თბილისი, ხოლო დაქვემდებარებული ქვედანაყოფები: სპეციალური დანიშნულების რაზმი და სპეციალური დანიშნულების ბატალიონი ერთ ქვედანაყოფად - სპეცდანიშნულების რაზმად გაერთიანდა. სპეციალური ოპერაციების დაჯგუფება განსაკუთრებით მობილური და ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფი იყო იმ დროის შეიარაღებულ ძალებში. დაჯგუფების ქვედანაყოფები პირველი წუთებიდან იყვნენ ჩართულნი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. საბრძოლო მოქმედებების დროს ქვედანაყოფს დაეღუპა 1 სამხედრო მოსამსახურე, ხოლო 55-მდე მებრძოლმა მიიღო სახვადასხვა სახის ჭრილობა და დაზიანება.

ომის შემდეგ ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად, 2009 წლის 2 ნოემბრიდან **სპეციალური ოპერაციების დაჯგუფებას** დაერქვა **სპეციალური ოპერაციების ძალები** (სოდ), რომლის შემადგენლობაშიც შევიდა სპეცდანიშნულების ბატალიონი, უზრუნველყოფის ბატალიონი, მოიერიშე ბატალიონი „ივერიონი“ (შემდგომში რეინჯერთა ბატალიონი), მოიერიშე ბატალიონი „კოლხეთი“ (დ.ადლია, რომელიც გაუქმდა 2010 წელს), სპეცდანიშნულების მოსამზადებელი ცენტრი და საზღვაო სპეცდანიშნულების რაზმი. 10 წელი იმუშავა სოდ-მა ასეთი კომპოზიციით. 2019 წლისთვის დღის წესრიგში დადგა ძალთა ტერიტორიული პრინციპით გადანაწილება და მობილურობის ხარისხის ამაღლება. სოდ-ის ამჟამინდელი სტრუქტურა ეფუძნება ორ დამოუკიდებელ სპეციალური ოპერაციების ბატალიონს (აღმოსავლეთი და დასავლეთი) და სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრს. საქართველოს ტერიტორიაზე ძალთა ასეთი გადანაწილება ხელს უწყობს დეცენტრალიზებული აღსრულების სისტემით ქვეყნის წინაშე არსებულ საშინაო და საგარეო საფრთხეებსა და გამოწვევებზე სწრაფ, ეფექტიან და ადეკვატურ რეაგირებას.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე სხვადასხვა სამხედრო მოქმედებებსა და სპეციალურ ოპერაციებში. კრიზისული თუ საომარი ვითარების დროს უწყებათაშორის კოორდინაციით სპეციალური ოპერაციების ძალები ყოველთვის პირველი აკეთებდა რეაგირებას ქვეყნის წინაშე წამოჭრილ საფრთხეებზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამხედრო ოპერაციებში ძალების შემადგენლობიდან თავგანწირულ სამხედრო მოსამსახურეთა ღვაწლი და დამსახურება. სანიმუშოა ძალების ქვედანაყოფების საბრძოლო შემართება და საბრძოლო ტრადიციები.

დღეს სპეციალური ოპერაციების ძალები არის ელიტური ქვედანაყოფი, რომელიც ღირსეულად აგრძელებს 1999 წლიდან დაწყებულ ისტორიას. სოდ-ის განვითარება თავდაცვის ძალებში არსებული საერთო ხედვის ფარგლებში ხორციელდება, რაც მობილურობის გაზრდას, მცირე ზომის ქვედანაყოფების ეფექტურ გამოყენებასა და რეგიონული პრინციპის მიხედვით შესაძლებლობების თანაბარ გადანაწილებას გულისხმობს.



სპეციალური ოპერაციების ბატალიონი ყველაზე ტრადიციული ქვედანაყოფია სომ-ში. სპეციალურად შერჩეულ, უცხო ენებში განსწავლულ და მცირე ჯგუფებად მოქმედ მებრძოლებს დიდი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ თანამედროვე გარემოში.

კომპლექსურ და სწრაფად ცვალებად ეპოქაში სპეციალური ოპერაციების მებრძოლები რჩებიან ყველაზე შესაფერის და კრიტიკულ ძალად მათი თანდაყოლილი უნარების, არატრადიციული მეთოდების გამოყენების, განსხვავებულ ამოცანებზე ადაპტაციისა და სწრაფად რეაგირების ხარჯზე. ისინი ერთობლივ, კომბინირებულ და უწყებათაშორის ოპერაციებში მზად არიან როგორც გადამწყვეტი, ასევე მხარდამჭერი ოპერაციების შესასრულებლად და შეუძლიათ განსხვავებული და ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება, ძალების და რესურსების დაზოგვა, ასიმეტრიულ გარემოში ეფექტური ფუნქციონირება.

მიუხედავად მათი უაღრესად ლეტალური ხასიათისა, სპეცოპერაციების მებრძოლის როლი მნიშვნელოვანია მშვიდობიანობის პერიოდში, კონფლიქტების პრევენციისა თუ კრიზისებზე რეაგირების დროს. ბატალიონის მებრძოლები გამოირჩევიან ძლიერი ფიზიკური მომზადებით, ემოციური სტაბილურობითა და კოლექტიური სულისკვეთებით, გავლილი აქვთ საჯარისო სპეციალური დანიშნულების კურსი და აღჭურვილნი არიან სპეციალური შეიარაღებითა და ეკვიპირებით.



რეინჯერთა ბატალიონი შედარებით ახლადშექმნილი ქვედანაყოფია სომ-ში. იგი 2009 წლის ზაფხულში, ჯერ კიდევ სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების შემადგენლობაში ჩამოყალიბდა და სპეციალური ოპერაციებისთვის საცეცხლე მხარდაჭერაზე იყო ორიენტირებული. 2009-2011 წლების განმავლობაში ქვედანაყოფს

მოიერიშე ბატალიონი „ივერიონი“ ერქვა. რეინჯერთა ბატალიონის მებრძოლებს შეუძლიათ მკაცრ და შეზღუდულ გარემო პირობებში საბრძოლო მოქმედებების ჩატარება და სპეციალური ოპერაციების მხარდაჭერა. რეინჯერის კურსი ამერიკული რეინჯერისა და თურქული კომანდოს კურსების გამოცდილებებს ეყრდნობა, რომლის წარმატებით კურსდამთავრებული მებრძოლებისაგან ხდება რეინჯერთა ბატალიონის ეტაპობრივი დაკომპლექტება. ბატალიონის მებრძოლები სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ავღანეთის ISAF-ის და RSM-ის მისიებში. დღეს რეინჯერთა ქვედანაყოფს მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მისია აკისრია, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ბრძოლისუნარიან ქვედანაყოფს სომ-ში. ეს არის გაბედული, შეუპოვარი და მოტივირებული მებრძოლებით დაკომპლექტებული ქვედანაყოფი.



მაიორ გელა ჭედიას სახელობის სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრი ერთ-ერთი ძველი ქვედანაყოფია სომ-ში. 2002 წელს მაშინდელ სპეციალური დანიშნულების ბრიგადაში შეიქმნა სპეციალური დანიშნულების სკოლა, რომლის დისლოკაციის ადგილს 2007 წლამდე წარმოადგენდა დ. კოჯორი.

2009 წელს სპეციალური დანიშნულების სკოლამ შეიცვალა სახელი და ჩამოყალიბდა სპეციალური დანიშნულების მოსამზადებელი ცენტრი, ხოლო დისლოკაციის ადგილად განესაზღვრა დ.მუხროვანი. ცენტრში შედიოდა სპეციალური დანიშნულების სკოლა და რეინჯერის მოსამზადებელი სკოლა.

2012 წელს სპეციალური დანიშნულების მოსამზადებელ ცენტრს გაეზარდა ფუნქციები და გახდა სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრი, რომელშიც შევიდა ოთხი სკოლა:

- სპეციალური დანიშნულების სკოლა
- რეინჯერის მომზადების სკოლა
- სნაიპერის მომზადების სკოლა
- საპარაშუტო მომზადების სკოლა

2017 წელს შეიქმნა მეგრძოლ-მყვინთავთა კურსი, რომელიც სტრუქტურულად შევიდა სპეციალური დანიშნულების სკოლაში.

2018 წელს სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრს სახელად დაერქვა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომში დაღუპული მეგრძოლის (მაიორი გელა ჭედია) სახელი და ჩამოყალიბდა როგორც „მაიორ გელა ჭედიას სახელობის სპეციალური დანიშნულების სასწავლო ცენტრი“.

ცენტრში ინსტრუქტორებად მსახურობენ სპეციალური ოპერაციების ბატალიონის ის მეგრძოლები, რომლებსაც საბრძოლო მოქმედებებში და ოპერაციებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ. სპეციალური ოპერაციების ძალების ერთ-ერთ ძირითად დავალებას „სამხედრო დახმარება“ წარმოადგენს. წვრთნა, რჩევების მიცემა, მენტორობა, პარტნიორობა და უწყებათაშორისი მხარდაჭერა არის იმ ღონისძიებების ჩამონათვალი რომლებსაც მეგრძოლები საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში ახორციელებენ. შესაბამისად, ყველა მეგრძოლი ბუნებით ინსტრუქტორია, რომელიც საკუთარი მაგალითით ასწავლის იმას, რაც რეალურ სიტუაციაში აქვს გამოყენებული.

ცენტრის ამოცანაა: სომ-ის ქვედანაყოფებისათვის მაღალკვალიფიციურ და პროფესიონალ მეგრძოლთა მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს სომ-ში ახალი ძალის გენერირებას და მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. საომარ ვითარებაში ცენტრი საბრძოლო ელემენტის ფუნქციას ასრულებს.



საზღვაო სპეციალური დანიშნულების რაზმი სომ-ის საზღვაო კომპონენტს წარმოადგენს. რაზმი იმდროინდელი სპეციალური დანიშნულების ბრიგადის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა 2006 წლის 1 ივნისს ქ. ფოთში, ხოლო 2007 წლიდან კი ქ. ბათუმში გადაინაცვლა. 2019 წლიდან ქვედანაყოფი შედის სპეციალური ოპერაციების ბატალიონის (დასავლეთი) შემადგენლობაში როგორც საზღვაო სპეციალური დანიშნულების ასეული.



საზღვაო სპეცდანიშნულების მეგრძოლებს მცირე, მოქნილი და მობილური

ქვედანაყოფებით შეუძლიათ იმოქმედონ წყალქვეშ, წყალზე და წყლიდან. ამასთან ერთად მათ შეუძლიათ იგივე დავალებების შესრულება, რასაც სახმელეთო სპეცდანიშნულების მებრძოლები აკეთებენ. ისინი ამას აღწევენ კრიტიკული აზროვნების, ძლიერი ნებისყოფისა და ერთმანეთისადმი სრული ერთგულების ხარჯზე.

საზღვაო სპეცდანიშნულების მებრძოლები მონაწილეობას იღებენ ერთობლივ სწავლებებში თავდაცვის ძალების სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად და უწყებათაშორის ოპერაციებში რომლის მიზანიც ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება და შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებაა.



სპეციალური ოპერაციების ძალების ფორმირების სრული ქრონოლოგია:

წელი	ქვედანაყოფის დასახელება	გერბი	დროშა
1998	„არასაომარი სამხედრო ოპერაციების მოსამზადებელი ცენტრი“		
1999	„მცირე ინტენსივობის კონფლიქტებში სამხედრო ოპერაციათა მოსამზადებელი ცენტრი“		
2001	„სწრაფი რეაგირების ძალები“		
2001	„სპეციალური დანიშნულების ძალები“		
2002	„სპეციალური დანიშნულების ბრიგადა“		
2007	„სპეციალური ოპერაციების დაჯგუფება“		
2009	„სპეციალური ოპერაციების ძალები“	